წელიწადი მესამე. — № 25. პარიზი, 15 (2) მაისი 1905 წ.

საქართველო

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო.

წლიური ფასი . . . . . 5 მანეთი.
თითო ნომერი . . . . . — 25 კაპ.

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადგილი:
51, rue Saint-Sauveur, PARIS.

შინაარსი

გიორგი გაპონის მიერ მოწვეულ სარევოლუციო და სოციალისტურ პარტიათა კონფერენციის გამო. — კონფერენციაზე შემუშავებული დეკლარაციები: პოლიტიკური და სოციალური. — კონფერენციის მიერ აღიარებული რეზოლუციები. — რევოლუციის აზრი და მიმართულება.

გიორგი გაპონის მიერ მოწვეულ სარევოლუციო და სოციალისტურ პარტიათა კონფერენციის გამო

ამ რამდენისამე კვირის წინად გ. გაპონის ინიციატივით მოხდა რუსეთში მოქმედ სოციალისტურ და სარევოლუციო პარტიათა კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ინიციატორმა მოიწვია 19 ორგანიზაცია. აქედან კონფერენციას დაესწრო 11. ორი დღის თათბირის შემდეგ კონფერენციას თავი დაანება ოთხმა სოც.-დემოკრატულ ორგანიზაციამ: ბუნდმა, რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ფრაქციამ «ვპერიოდ», ლატიშთა ს.-დ. მუშათა პარტიამ და სომეხთა ს.-დემ. მუშათა ორგანიზაციამ.

რუსეთის ს.-დემოკრატულ. პარტიის მეორე ფრაქცია, — ორგანო «ისკრის» მიმდევარი, — კონფერენციას არ დასწრებია, მხოლოდ თავის დაუსწრებლობის ასახსნელად წერილი გამოუგზავნა კონფერენციას.

სოციალ-დემოკრატულ ორგანიზაციათა წასვლის შემდეგ კონფერენციაზე დარჩა შვიდი პარტია: პარტია სოციალისტ-რევოლუციონერთა, პოლონეთის სოციალისტური პარტია (პ. პ. ს.), სომეხთა სარევოლუციო ფედერაცია, ფინლანდელთა აქტიურ წინააღმდეგობის გამწევი პარტია, ქართველ სოც--ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, ლატიშთა სოციალ-დემოკრატთა კავშირი და ბელორუსთა სოციალისტური გრომადა.

რადგანაც კონფერენციას არ დაესწრნენ სუყველა რუსეთში მოქმედნი სარევოლუციო პარტიები, კონფერენციამ შეუძლებლად დაინახა განხორციელება ინიციატორის მიერ დასახულ მიზნისა — შემუშავება საერთო აჯანყების მოსახდენად საჭირო გეგმისა. და სამაგიეროდ შეუდგა იმ საფუძვლის გამორკვევას, რომელიც უნდა დაედოს დამსწრე პარტიათა შეთანხმებულ მოქმედებას მომავალში. ექვსი დღის მუშაობის შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა აქ გამოქვეყნებული დეკლარაციები და რეზოლუციები და კიდე გამოსაქვეყნებელი პროკლამაციები, დაარსა პარტიათა შორის შუამავალი ბიურო, რომლის ფუნქციად უნდა გახდეს პარტიათა შორის დამოკიდებულებათა გაუმჯობესება და გაადვილება და ამასთანავე სარევოლუციო ბრძოლისათვის ნივთიერ და ტექნიკურ საშალებათა გამოძებნა. დაარსა აგრეთვე მუდმივი სეკრეტარიატი, როგორც ამ ბიუროს აღმასრულებელი ორგანო.

* * *

აღსანიშნავი გარემოებაა, რომ ამ კონფერენციამ წინანდელ, პარიზის კონფერენციასთან შედარებით, დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ დეცენტრალიზაციის და ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტაში. არამცთუ მარტო პარიზის კონფერენ ციასთან შედარებით გადადგა დიდი ნაბიჯი ამ კითხვის გადაწყვეტაში, არამედ სუყველა რუსთა მოქმედ პარტიათა პროგრამებთან შედარეაითაც. კონფენცი.ამ თავი დააღწია ბუნდოვან, განყენებულ თვითგამორკვევის ფორმულას და ეროვნულ კითხვას ხორცი შეასხა, კონკრეტულად გადაწყვიტა. საჭიროდ იქმნენ ცნობილნი საკუთარი დამფუძნებელი კრებები ფინლიანდიისა, პოლონეთისა და კავკასიისათვის. ერთ სახელმწიფო ფარგალში დარჩენილ ერთათვის საჭიროდ და აუცილებლად იქმნა ცნობილი ერთა ავტონომია და მათი ფედერატულად შეკავშირება.

ამრიგად, შეთანხმებულ პარტიათა მოქმედების ერთ დედაბოძად უნდა გახდეს თანამედროვე რუსეთის გრცელი დეცენტრალიზაცია.

კავკასიის შესახებ შეიძლება მკითხველი ცოტათი გაჭკვირდეს. პირველ მუხლში კავკასია არ არის მოხსენებული. იმ ქვეყანათა რიცხვში, რომელთაც საკუთარი დამფუძნებელი კრება უნდა მიენიჭოს; ამგვარ დაწესებულებებს პირველი მუხლი ანიჭებს მხოლოდ ფინლანდიას და პოლონეთს. მე-5 მუხლში კი კავკასიის დამფუძნებელ კრების მოწვევაა აღიარებული. რას ნიშნავს ეს? ფინლანდიას თავისი ასეთი თუ ისეთი ავტონომია დღესაც აქვს და სწორედ ამიტო-

გამოსთქვით წელილობით თქვენი შეხედულება ამ პარტიის შესახებ, — უგებდნენ დასარჩენნი, — კონფერენცია მას თავის ოპიციალურ დოკუმენტთა სიაში შეიტანს და ამგვარად თქვენის კონკურენტის შექმნის საქმეში ხელებდაბანილნი იქმნებითო.

არ მიიღეს არავითარი რჩევა და არგუმენტი. ამ მოთხოვნას, რომ ლატიშთა სოციალ-დემოკრატულ კავშირის წარმომადგენელები დათხოვნილი ყოფილყვნენ, ულტიმატუმის ხასიათი მისცეს და რადგანაც დამსწრე პარტიათა უმეტესობამ არ შეიწყნარა მათი ულტიმატუმი, ოთხი სოციალ-დემოკრატული ორგანიზაცია გავიდა კონფერენციიდან.

ან რას მოდიოდნენ, ან ამგვარ უმნიშვნელო მიზეზის გამო რადას გადიოდნენ ?

კონფერენციაზე შემუშავებული დეკლარაციები

კონფერენციის პოლიტიკური საზოგადო დეკლარაცია

მოძალადენო!

დიადი ისტორიული მომენტია დღეს ყველა ჩვენთვის, მთელის რუსეთისთვის, რომელიც შებოჭილია თვითმპყრობელობის და ცენტრალიზმის რკინის კლანჭებით.

სამართლიანად აქვს დღეს ჩვენზედ ყველას თვალები მიპყრობილი, და მოუთმენლად, გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ქვეყნიერება იმ არა-ჩვეულებრივ კრიზისს, რომელიც უეღირსშესამჩნეველსია მთელს ისტორიაში.

რუსეთის დიდი რევოლუცია იწყება. თვითმპყრობელობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ახლად ადორძინნბულ ძალას, რუსეთში მყოფ მრავალ ერებს.

ორი საზარელი, საშინელი, შეუბრალებელი ომი გლეჯს და სწყვეტს ახლა საიმპერატორო რუსეთს : გარეგანი და შინაგანი, მანჯურიის ველებზე და უზარმაზარ იმპერიის ყოველ ქალაქების, სოფლების ქუჩებზედ, სადაც სისხლი მდინარესავით მიდის, გრიალებენ თოფები და წუთისოფელს ესალმება მრავალი მსხვერპლი.

რუსეთში საზოგადოებრივი ცხოვრება ნორმალურად უკვე ადარ მიმდინარეობს, ადარ არის წესიერად მოქმედი პოლიტიკური წყობილება, არ არის ქვეყნის მიერ ადიარებული წესიერი მმართველობა. თვით ის ჯგუფი გაბატონებულ ძალმომრეველთა, რომელიც ყინიანად კიდევ მმართველად უწოდებს თავის თავს, თითონვე გრძნობს ამ გარემოებას. ნაწილ-ნაწილად იგი თითონვე უარ-ყოფს თავისს ვალდებულებებს და ეფლებებს და აძლევს მათ ხან კიშინევისა და გომელის ამკლებ-ამწიოკებლებს, ხან ბაქოს შეუბრალებელ ბრბოს და ხან კიდევ შიდა რუსეთის ქალაქების ეგრედ წოდებულ « შავს სოტნას », — ყველა ამ ელემენტებს, რომელთა შველასაც ცინიკურად ითხოვდა თავის მანიფესტმიდავთარდაბნეული უკანასკნელი წარმომადგენელი გადამენებულ დინასტიისა. გუშინდელი ძლიერი მთავრობა, რომელიც ჭფარავდა მეფის მანტიით მტაცებლობასა და ექსპლუატაციას, რომელიც იზრდებოდნენ მისის მფარველობის ქვეშ, დღეს მეომარ მხარედ გადიქცა, ჩაიკეტა, ჩაჯდა თავისს ციხე-სიმაგრეებში, გამოიტანა ხიშტები, გამოიყვანა ფარული და ცხადი პოლიციის და ჯარის მოწინავე რაზმები და ზარბაზნები. მან გამოუცხადა ომი ხალხს, და ეს სამოქალაქო ომი ხდება სისტემატიურად, დაუდგრომლად, სისხლის ღვრით, შეუბრალებლად, და ერთი მეომარ მხარეთაგანი უსათუოდ უნდა დაიღუპოს, ან ქვეყანა უნდა დაიღუპოს ან თვითმპყრობელობა.

მთავრობამ ხალხს გამოუცხადა ომი. მან პეტერბურგში არ მიიკარა შიკრიკნი და პარლამენტორნი ლიბერალურ დეპუტაციისა, რომელიც გამოცხადდა გიორგი გაპონის მეთაურობით, და ცარიზმის წინამე პირდაპირ დააყენა კითხვა სოფლისა და ქალაქის მუშა-ხალხის მწვავ საჭიროებათა შესახებ. ომი გამოცხადებულია და ყოველი ადამიანი დღეს იძულებულია, უნდა თუ არა, ან ერთ ბანაკს მიემხროს და ან მეორეს, მესამე გზა არ არის და არც შეიძლება რომ იყოს. კომპრომისები შეუძლებელი გახდა და მოლაპარაკება უაზრო, ხოლო მორიგება — დანამაულობად უნდა ჩაითვალოს. ვინც ჩვენსკენ არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია. მთავრობას ენრთი რამ დარჩენია : ანკაპიტულაცია, სრული კაპიტულაცია რეგოლუციის მოთხოვნათა წინამე, ან დაღუპვა ძლიერის რევოლუციონურის იერიშისაგან. ჩვენ არ ვაყენებთ კითხვას აინაირად, თვით ცხოვრება აყენებს. — ასე სვამს ამ კითხვას თვით ლოდიკა ცხოვრებისა, და ამ მოვლენისაგან თვალის არიდება იქმნებოდა სამარცხვინო სულმოკლეობა. ხოლო მთავრობა არ ემზადება კაპიტულაციისათვის კარზედ მიმდგარ რევოლუციის წინამე, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ განვიმეორთ მუშათა ის ლოზუნგი, რომელიც იანვრიდან დაწყებული ქუხილით მოედო პეტერბურგის, რიგას, ვარშავის და ტფილისის ქუჩებს და რომელსაც ათასგზით ხმა მისცეს მთელს რუსეთში ; ეს ლოზუნგია — თავისუფლება ან სიკვდილი ! და ჩვენი ბრძოლა — ბრძოლაა ყველა რევოლუციონურ პარტიათა და ყველა ეროვნებათა, რომელნიც ერთმანერთზე გადაბმულ არიან თვითმპყრობელობის რეჟიმის შაგარის ჯაჭვებით, ეს ბრძოლა წინ მიდის, სულ უფრო და უფრო დიდს ხალხს იზიდავს, უფრო და უფრო მწვავდება, უფრო და უფრო ენერგიულ ზომებს ხსარობს, ტერორისტულ ზომებსაც, და პირდაპირ ბეჯითის ნაბიჯით უახლოვდება უკანასკნელ, ლოდიკურ ბოლოს — საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას.

ამ აჯანყების შედეგი უნდა იყოს არსებულ დინასტიის დამხობა, და თვით ხალხის ხელში გადაცემა ხალხისავე ბედ-იღბლისა ; ეს ხალხი მოიწვევს თავისუფლად დამფუძნებელ კრებებს, რომლებმაც უნდა

განახორციელონ დიდი პრინციპი ეროვნებათა თვითგამორკვევისა, იმით, რომ გაანთავისუფლებენ ეროვნებათ ძალდატანებისაგან, დაიფარავენ უმცირესობას უმრავლესობის მიერ დაჩაგვრისაგან და ერთმანერთ შორის თავისუფალ და ნებისით შეთანხმების საშუალებით, გამორკვევენ, მოსპობენ და მოაწესრიგებენ იმ განწყობილებათ, რომელნიც თვითმპყრობელობის წყალობით სამინლად არიან ჩახლართულნი დღეს ადგილობრივ, ეროვნულ. კულტურულ, სოციალურ და ისტორიულ პირობათა სხვადასხვაობის გამო. მხოლოდ ამგარ დამფუძნებელ კრებათ, როგორც ზედმიწევნით მცოდნეთ ადგილობრივ პირობათა, შეუძლიათ ხალხის სასარგებლოდ მოსპონ თაანამედროვე რეჟიმი რუსეთის იმპერიისა, რომელიც დამყარებულია დაპყრობის პოლიტიკაზედ, ძალომრეობაზედ, მტაცებლობაზედ, ძარცვა-გლეჯაზედ. დამფუძნებელი კრებები დაამყარებენ ახალ რეჟიმს დემოკრატულსა და რესპუბლიკანურ პრინციპზედ, ყველა ხალხთა ინტერესების მიხედვით, იმ ხალხთა, რომელთა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება ფეხქვეშ იყო გაოელილი გუმაძღარ დესპოტიზმის მიერ, თანამედროვე რეჟიმის დამხობა გაანთავისუფლებს არა მარტო რუსეთის ხალხს, არა მარტო სხვა დამონებულ ერებს, რომელთაც ორნაირად გამოსცადეს მისი მძიმე უღელი. აბსოლუტიზმის დაღუპვა მოასწავებს ევროპიელ რეაქციის უმთავრეს თავშესაფარ ციხის დაქცევას, მთელი ქვეყნის რეაქციის დამხობას, და ამით საყოველთაო კეთილებრიულ პროგრესს, წინ წაწევას, და ამისი მნიშვნელობა ძლიერ ფართო და ღრმაა, რომ მისი ეხლავე სრული გაზომვა და დაფასება შეიძლებოდეს.

ვბმყარებთ-რა ჩვენს მოქმედებას ზემოხსენებულ პრინციპებზედ და ვართ-რა დარწმუნებულნი, რომ თანამედროვე კრიტიკული მომენტი აიძულებს ვველა რევოლუციონურ ძალებს განსაზღვრულ შემთხვევებში, ერთად, შეერთებულის ძალით იერიში მიიტანონ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ — ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერი პარტიები, მოწვეულნი გიორგი გაპონის ინიციატივით, და შეკრებილნი კონფერენციაზედ, ვაცხადებთ შემდეგს განცხადებას იმ პირდაპირ პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, რომელნიც ეთანხმებიან დამსწრე პარტიათა მინიმალურ პროგრამის მოთხოვნილებათ, ან რომელნიც შეეხებიან ამ მოთხოვნილებათა, როგორც ნაწილი მთელს.

1. სრული გადაკეთება თანამედროვე რუსეთის იმპერიისა დემოკრატულ-რესპულიკანურ საფუძველზედ, და როგორც სამუალება ამისა :

2. მოწოდება საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და დაფარულ არჩევნების საფუძველზე არჩეულ დამფუძნებელ კრებისა, რომელიც შესდგება რუსეთის იმპერიის, გარდა პოლონეთისა და ფინლანდიისა, ყველა კუთხეებიდან წარმოგზავნილ წარმომადგენლებისაგან. დამფუძნებელ კრების მოწვევის დროს დაცულნი უნდა იყვნენ პიროვანი, ხალხის სურვილის თავისუფ ლად გამოამკარავებისათვის აუცილებელნი რომ არიან (სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებათა, კავშირთა თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, განთავისუფ ლება პოლიტიკურ და რელიგიოზურ რწმენათათვის დასჯილთა).

3. მოწოდება პეტერბურგის დამფუძნებელ კრებასთან ერთად იმგვარისავე პოლონეთის დააფუძნებელ სეიმისა ვარშავაში. მოსპობა ძველის ურთიერთობისა და გაწესრიგება ახალ ურთიერთობისა რუსეთის და პოლონეთს შორის თავისუფალ შეთანხმებით ამ დამაწესებელ ორგანოთა მეოხებით.

4. რაიცა შეეხება ფინლანდიას, რომელიც წარმოადგენს ეხლაც ავტონომიურ-კონსტიტუციონალურ სახელმწიფოს, და მაშასადამე მონაწილეობას არ იღებს რუსეთის დამაწესებელ კრებებში, ყველა კონფერენციაზე დამწსრე პარტიები უერთდებიან ფინლანდიის ხალხის წადილს და განსაკუთრებით პროლეტარიატის წადილს, რომ მათ მიიღონ იმ საშუალებათა შემწეობით, რომელიც მათ აქვსთ, თავიანთი დამაწესებელ კრების გამართვის უფლება, დამფუძნებელი საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ არჩევნების საფუძველზე.

5. მოწოდება დამფუძნებელ კრებისა კავკასიაში, რომელიც გახდება ავტონომიური, რუსეთთან ფედერატულად შეკავშირებული ნაწილი, კრება შინაგან წყობილებას გადაკეთებს დემოკრატულ-ფედერატულ საფუძველზედ. კავკასიის დამფუძნებელი კრება თავის ავტონომიის დასაცავად გარანტიებსაც შეიმუშავებს.

კონფერენციას აგრეთვე სურს, რომ თაკის დროზე შეთანხმდეს სხვა ეროვნებათა და კულტურულ-ნაციონალურად განსაკუთრებულ ოლქთა წარმომადგენელ პარტიებთანაც. კონფერენციას ჰსურს მოილაპარაკოს მათთან თავისუფალ განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროა კონსტიტუციონალურ გარანტიათა შესახებ.

ქვემორე ამისა ხელის მომწერი პარტიები ჰფიქრობენ. რომ. თითოეული მათგანი, დაიცავს-რა სრულიად მთელ თავის პროგრამას და არც ერთს წამს თავს არ დაანებებს ამ პროგრამის ყველა პუნქტების განხორციელებისათვის ბრძოლას, მიუხედავად ამისა იძულებულნი და ვალდებულნი არიან შეაერთონ თავიანთი მოქმდება ვოველ მწვავე მომენტში, რომელიც თხოულობს საერთო და ერთსულოვან იერიშს საერთო მტრის წინააღმდეგ,

ამგვარი შეერთება, საქმის სასარგებლოდ, იმდენადვე აუცილებლად საჭიროა, რამდენადაც საჭიროა თავისუფალი, სრული, ყოველმხრივი გამოჩენა თავის პირადობისა ყოველ პარტიის მიერ, რამდენადაც საჭიროა მის ძალათა გამოყენება, გამოყენება ყველა საშუალებათა, რომელნიც ამ პარტიას ახასიათებენ და მის ძალებს ეთანხმებიან.

მოქალაქენო! რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო. მთავრობამ და ხალხმა ერთმანერთს ომი გამოუცხადეს. ნუ გახდებით თქვენის ინდიფერენტიზმით ან გაუბედაობით ჩუმ მოწაწილეებად და მპატიებლად თვითმპყრობელობის დანაშაულობათა, რომელნიც შეურაცხყოფენ და ჩირქსა სცხებენ მთელს კაცობრიობას. დიდია და მძიმეა ის პასუხისმგებლობა, რომელიც მიუძღვის ყოველ შეგნებულ ადამიანს. ამიერჩეთ ორში ერთი: ან წუთისოფელმოჭშული თვითმპყრობელობა, ან განახლებულ ცხოვრებისაკენ მიმავალი ქვეყანა! ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგ არის! გაბედულნი დრონი ჰქმნიან გაბედულ კაცთა!

გაუმარჯოს უკვე დაწყებულ რუსეთის დიდ რევოლუციას!

ცენტრალური კომიტეტები:
სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა.
პოლონეთის სოციალისტურ პარტიისა.
სოფლთა სარევოლუციო ფედერაციისა.
ფინლანდიის აქტივურ წინააღმდეგობის პარტიისა.
ქარრველ სოც.-ფედერ. სარევ. პარტიისა.
ლატიშთა სოც.-დემოკრ. კავშირისა.
ბელორუსთა სოციალისტურ გრომადისა.

სოციალისტურ ორგანიზაციათა დეკლარაცია

მოქალაქენო!

რევოლუციონური ცეცხლის ალი, რომელიც უკვე წითლად აღენთო, ანათებს და გვაჩვენებს ამ რევოლუციის ბუნებასა და მისს ნამდვილ სახეობას. ეს რევოლუცია არ არის ბრძოლა მარტო სახელმწიფო უფლების შეცვლისათვის. თანამედროვე კრიზისი ნაყოფი არაა აგრეთვე მარტო თავისუფლების მძლავრ მოთხოვნილებისა ერთის მხვრივ, და მეორეს მხრივ დესპოტიზმის ფართო ფარფაშის შეტაკებისა. მისი მიზეზი უფრო ღრმა და ფართოა. მისი მნიშვნელობა უფრო დიდია.

ვეებერთელა იმპერიის მუშა ხალხი არ იტანჯება მარტო კაპიტალიზმის საერთო უკუღმართობის წყალობით, რომელიც მუშა ხალხს საზარელ აჩრდილივით უკან დასდევს ყოველთვის და ყველგან.

ის საერთო და დიდი საერთამორისო სოციალური კითხვა, რომლის ირგვლივ ტრიალებენ თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამბები, კიდევ უფრო მწვავდება ჩვენში პატრიარქალურ დესპოტიზმისა და ბატონყმობის ნაშთთა მთელის გროვით. რომელიც ჩვენმა ისტორიამ გადმოგვცა მემკვიდრეობით.

ამგვარი პირობები ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ განვითარებისა ჩვენში უფრო, ვიდრე ყველგან სხვაგან, ნებას აძლევენ თავი იჩინონ კაპიტალიზმის პარაზიტულმა ტენდენციებმა და ჩვენში უფრო. ვიდრე ყველგან სხვაგან აგრეთვე, ძირს უთხრიან კაპიტალის სტიქიონურ მემოქმედებითს რიტლს.

მუშა კლასი, რომელსაც არ შეუძლია თავისუფლად შეკავშირდეს და გასწიოს ბრძოლა, შეწუხებულია სამრეწველო სარეზერვო არმიით, რომლის ზრდა თვით კაპიტალისტურის თვალთახედვითი ისრით რომ გავშინჯოთ, არა-ნორმალურია, და რომელიც სამუშაო ქირას დაბლა სწევს. სოფლის გადატაკებას შედეგად ის ჰყვება, რომ მუშათა ბაზარზედ თან და თან მეტი კონკურენტი გამოდის, ძლიერ მცირე მოთხოვნილებით და მზად არის თითქმის მუქთად იმუშაოს. სოფლის გადასახადის გაღებისა და ყიდვის შეძლება ძირამდეა შერყეული, სამარე ეთხრება აგრეთვე შინაგან ბაზარს, კრიზისი გრძელდება, ხრონიკული ხდება, თავიდან აუცილებელი. მთელი ეკონომიური ცხოვრება ხალხისა შერყეულია, დარღვეულია, ხალხის მწარმოებელ ძალებს დამბლა აქვსთ დაცემული. მთავრობამ ამ შემთხვევაში ერთადერთი სამუალება ნახა, რომ ამ თავიდან აუცილებელ გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობიდან თავი დაეღწია: მან ხელი შეუწყო სახელმწიფო ვალის ზრდას, რომელიც დამონებას ემუქრება მომავალ შთამომავლობას, რომელიც ძალაუნებურად შეუძლებელ მოვალეებად გადიქცევიან და წილად ხვდებათ პასუხი აგონ თვითმპყრობელობის მფლანგველობისა და უთავბოლო სარჯის გულისათვის.

თვითმპყრობელობა, რომელიც საუკუნო დამცველია ყველა პარაზიტულ ელემენტებისა საზოგადოებაში, იმისთანა ჯურღმულში ჩააგდო ხალხი, რომ იქედამ ამოსვლა შეიძლება მხოლოდ რადიკალურ ზომათა მიღების სამუალებით, რომელნიც პირდაპირ უნდა შეეხონ თვით ქონებრივ განწყობილებათ. ამისი შეგნება და შემეცნება დღითი დღე იზრდება, შეუჩერებლივ და მძლავრად. მუშებმა, რომლებმაც მოახდინეს პირველი სრულიად რუსეთის საერთო პოლიტიკური გაფიცვა, იმავე დროს წამოაყენეს მთელი წყება თავიანთ ძირითად ეკონომიურ მოთოთხოვნილებათა. მათი გაფიცვა ძლიერი გამომხატველია მათი კლასიურ თვითშეგნების ზრდისა, — ამ გაფიცვას ჰქონდა ორნაირი მიზანი, ორნაირი მნიშვნელობა — საერთო პოლიტიკური და პირდაპირი ეკონომიური. გლეხებიც შეუერთდნენ ეხლა მოძრაობას; მრავალტანჯული გლეხობა მიწის ნაკლებობის გამო, ტყავგამძვრალი გადასახადებით და მონობის ქვეშ ქედ მოხრილი სცდილობს თვით დასთესოს და მომკოს თავისსავე ყანებში პური და მიიმშილს თავი დაადწიოს. უსაქმოდ დარჩენილები, რომლებიც ქუჩებში მშიერნი დალასლასებენ, ოჯახები, რომლებიც საშინელ სიღატაკეში ჩავარდნენ კრიზისის წყალობით და აგრეთვე იმის მიზეზით, რომ მოაცილეს მათ საუკეოესო სამუშაო ძალები და დაჰღუპეს სულ ტყეილა უბრალოდ ათი-ათასობით შორეულ აღმოსავლეთში — ყველა ესენი ჰღელავენ და ითხოვენ დახმარებას, პურს სამუშაოს.

აღელდა ხალხის ზღვა, სიღრმიდამ აღმოხეთქა ხალხურმა ძალამ. და ვის შეუძლია ვიწრო კალაპოტში ჩააყენოს რევოლუციის აზვირთებული მდი-

ნარე? სიმწრითა და აუარებელ ტანჯვით აღვსილმა და დაჩაგრულმა მუშა-კაცის გულმა ვეღარ აიტანა ამდენი უსამართლობა, იგი ზიზღითა ჰქუხს ყოველსავე ბოროტების წინააღმდეგ, ყოველსავე უსამართლობისა და ძალმოირეობის წინააღმდეგ, რომელსაც იგი ჰხედავს თავის ირგვლივ. როდესაც იგი გამოდის ქუჩაზედ, რომ თავისუფლებისათვის ხმა ამოიღოს — ეს ხმა მარტო მშიერ კაცის ხმა არ არის, ეს ძახილია მრავალტანჯულ ხალხისა, ეს აღსდგომაა ადამიანისა, რომელსაც ხარსავით უღელი დაადგეს; ეს მის მიერ უფლებათა მოთხოვნაა, — ყოველგვარ უფლებათა ცგოვრების ყოველ საგანზე, რომელიც მისივე ჯაფით არის შექმნილი; ეს გაღვიძებაა დიად კლასიურ ერთობისა, რომელიც მშრომელთა რაზმებს ისმოკს კაპიტალის დამცველთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

რევოლუციის სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნანი განუყოფელნი არიან. ეკონომიური საჭიროებანი ხალხისა დღეს ისეთი ღრმაა და გამწვავებული, რომ თვითონ ნათლად ლაპარაკობენ თავის თავად, და მართლაც ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ამას ყურათღება არ მიაქციოს. უკვე თვით მთავრობას ჰსურს ისარგებელოს ამითი; იგი ცდილობს ხალხის ეკონომიური საჭიროებანი დაუპირდაპიროს «საზოგადოების» პოლიტიკურ მისწრაფნებათ; იგი მზად არის დემაგოგობა დაიწყოს და სოფელში მოიყვანოს «სოციალურ მონარქიის» აჩრდილი და თავი მოაჩვენოს ხალხს პოლიტაკურ რეფორმათა მტრად, ხოლო ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების მოსურნედ. გვიანღაა! სიცრუე თვალსაჩინოდ ხდება. თვითმპყრობელობა ერთობ მჭიდროდ არის შეკავშირებული მტაცებელ მოხელეებთან, ბურჟუაზიის უკიდურესს პარაზიტულ ელემენტებთან, და მას არ ძალუძს ადიჭურვოს სიმშვიდით და ადარ დაზოგოს ყველა ამ ზემოხსენებულთა ინტერესები, — იმ სიმამაცით, რომელიც საჭიროა ხალხის მდგომარეობის თვალსაჩინოდ გამოსაკეთებლად. მხოლოდ ხალხს შეუძლია თვისის რევოლუციონურის ძალით ადასრულოს ეს, მხოლოდ მას შეუძლია თვისის ბრძოლით ერთსა და იმავე დროს მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, შეანგრიოს სქელი კედელი ეკონომიურ ექსპლუატაციის ციხე-ბურჯისა.

ამ პრინციპებზე დამყარებულნი ქვემორე ამისა ხელის მომწერნი პარტიები აცხადებენ: რომ ყველანი თანახმანი არიან აღიარონ აუცილებლობა მთელის რუსეთის იმპერიის წესწყობილების გარდაქმნისა დემოკრატულ-რესპუბლიკანურ პრინციპთა თანახმად და შესაფერად ყველა ეროვნებათა ინტერესებთან. ამგვარი ცვლილება უნდა იქმნეს მომხდარი თავისუფლად მოწვეულ დამფუძნებელ კრებათა მიერ.

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერი პარტიები, ნამდვილ და თავისუფალ ხალხურ მმართველობის საფუძვლად აღვიარებთ შემდეგ დემოკრატულ-რესპუბლიკანურ პრინციპებს: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო კენჭისყრის უფლება განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნობისა, 20 წლიდან დაწყებული; ფართო ავტონომია ოლქთა თემთა; ფედერატული პრინციპი უნდა იყოს გატარებული იმ ეროვნებათა საურთიერთო განწყობილებაში, რომლებიც დარჩებიან ერთსა იმავე სახელმწიფოს საზღვრებში; ხალხის პირდაპირი კანონმდებლობა (რეფერენდუმი და ინიციატივა), როგორც დამატება წარმომადგენლობაზე დამყარებულ საკანონმდებლო მოქმედებაში; პროპორციონალური წარმომადგენლობა; ამორჩევა და პასუხისმგებლობა მოხელეთა; სრული თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, პეჭდვისა, კრებათა, მუშათა კოალიციებისა და გაფიცვათა; საყოველთაო სამოქალაქო თანასწორუფლებიანობა; გარანტიები პიროვნების და ბინების ხელშეუხებლობისა: სახელმწიფოსა და ეკლესიის განშორება და განშორება სკოლისა ეკლესიისაგან. მემოდება სავალდებულო, ყველასათვის თანასწორ, საერთო საერო განათლებისა სამშობლო ენაზედ საზოგადოების ხარჯით; ენათა თანასწორუფლებიანობა; შემოდება ადგილობრივ ენებისა სასამართლოში და ადმინისტრაციაში; იმ ოლქებში, სადაც შერეული ეროვნებანი სახლობენ, თითოეულ ერს, მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, ურდა მიენიჭოს პროპორციონალური ხვედრი იმ საზოგადო ბიუჯეტიდან, რომელიც გადადებული იქმნება კულტურულ და განათლების მიზნისათვის.

ქვემორე ამისა ხელის მომწერი პარტიები აღიარებენ, რომ ერთმანერთს ეთანხმებიან შემდეგ სოციალურ-ეკონომიურ რეფორმათა პირდაპირ მოთხოვნაში, რომლებიც ეთანხმებიან თითოეულ დამსწრე პარტიის მინიმალურ პროგრამას, ან შეადგენენ მისს ნაწილს: კანონის მიერ აღიარებული 8 სათის სამუშაო დღე; დადგენა მინიმალურ სამუშაო ქირისა სხვა და სხვა ხელობის მუშებისათვის სოფლებში და ქალაქებში; სახელმწიფო დაზღვევა უბედურ შემთხვევებისა, ავადმყოფობისა, სიბერისა და უსაქმოების წინააღმდეგ სახელმწიფოისა და კაპიტალისტების ხარჯით, აგრეთვე დაზღვეულთა თვითმმართველობის საფუძველზედ. კანონმდებლობითი დაცვა შრომისა, სამეცნიერო გიგიენის მიხედვით და ამორჩეულ ინსპეკციის გარანტიით. პროფესიონალური ორგანიზაცია მუშათა, მათი თანდათანი მონაწილეობა სარეწველო სახელოსნოების მოწყობაში; შრომის ბიუროები და მათი მონაწილეობა მუშათა კანონმდებლობის შემუშავებაში; არა პირდაპირ გადასახადთა მოსპობა, გარდა საფუფუნო საგნებზედ დადებულ ბაჟისა; პროგრესიული გადასახადი შემოსავალზედ და მემკვიდრეობაზედ და სრული განთავისუფლება გადასახადისაგან ზვრილ შემოსავლისა, რომელიც არ აღემატება განსაზღვრულ ნორმას; სოციალიზაცია, ანუ მიწადმოქმედ მშრომელთა ხელში გადასვლ-

საზოგადოებრივ სამფლობელოდ და სასარგებლოდ ყველა იმ მიწებისა, რომლების დამუშავება დამყარებულია სხვისი შრომის ექსპლუატაციაზედ, — ამასთანავე განსაზღვრა კონკრეტულ ფორმათა, რომელთაც მიიღებს ეს უკანასკნელი ზომა პრაქტიკულად გამოყენების დროს. ზოლო განსაზრვრა იმისი, თუ რამდენად იქმნება გამოყენებული ეს ზომა, შედის ცალკე ერთა პარტიების კონპეტენციაში, ცალკე მხარეთა განსაკუთრებულ პროგრამათა მიხედვით; განვითარება საზოგადოებრივ, მუნიციპალურ და თემობრივ წარმოებაათა; სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს კოოპერაციების განვითარებას, უკიდურეს დემოკრატულ პრინციპებზედ დამყარებული.

თითოეული დამსწრე პარტიათაგანი, თუმცა აცხადებს საერთიერთო თანხმობას ჩამოთვლილ მუხლებში, მაგრამ არც ერთი მათგანი ამითი უარს არა ჰყოფს თვისის პროგრამის ინდივიდუალურ და განსაკუთრებითს ხასიათს, რომელიც შეესაბამება იმ წრის განსაკუთრებულ სასიათს, რომელშიაც მოქმედებს ეს პარტია, ან იმ პრინციპთა საერთო მიმართულებას, რომელზედაც ეს პარტია ემყარება. მაგრამ ყველა ეს პარტიები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ საჭიროა წამოაყენონ და გაიყვანონ როგორც დამფუძნებელ კრებასა და საკანონმდებლო დაწესებულებებში, ისე გარდამავალ რევოლუციონურ ხანაში, პირდაპირი რევოლუციონერების ზომების საშუალებით, — მთელი წყება მოთხოვნილებათა, რომელნიც შეეხებიან ქონებრივ განწყობილებათა და რომელნიც მიანიჭებენ პროლეტარიატსა და მთელ მშრომელ ხალხს გამაგრებულ საომარ პოზიციებს, პოლიტიკურსა და ეკონომიურს. მშრომელი ხალხი შემდეგ განაგრძობს ბრძოლას, — ბრძოლას საბოლოო განთავისუფლებისათვის, არამარტო პოლიტიკურ მონობისაგან და ფეოდალიზმის ნაშთებისაგან, არამედ თანამედროვე ბურჟუაზულ და კაპიტალისტურ ექსპლუატაციისაგანაც.

დღე ჩვენს პოლიტიკურ ლოზუნგთან ერთად გაისმას უფრო მაღლა და მძლავრად ჩვენი ხმა, მიმართული ხალხის პირდაპირ ეკონომიურ მყვლეფელთა წინააღმდეგ:

სამუშაო — უმუშაოდ დარჩენილებს!
პური — მშივრებს!
მიწა და მისი ნაყოფი — ყველა მშრომელებს!
გაუმარჯოს რევოლუციას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

ცენტრალური კომიტეტები:

რუს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა.
პოლონეთის სოციალისტურ პარტიისა
სომეხთა რევოლუციონურ ფედერაციისა.
ქართველ სოც.-ფედერ. სარევ. პარტიისა.
ლატიშთა სოციალ-დემოკრ. კავშირისა.
ბელორუსთა სოციალისტურ გრომადისა.

რეზოლუცია შუამავალ ბიუროს შესახებ

კონფერენცია იღებს რა ძალდაგელობაში, რომ იარადით ხელში ბრძოლა იმპერიის ძრავალ კუთხეებში უკვე დაწყებულია და ამის გამო აუცილებლად საჭიროა შეთანხმებული მოქმედება სხვა და სხვა სარევოლუციო პარტიათა და ამასთანავე მათ მიერ დამზადება ბრძოლისათვის საჭირო ტეხნიკურ და მატერიალურ სამუალებათა,

კონფერენცია აღიარებს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაარსდეს ბიურო, რომლის მოვალეობად უნდა გადაიქცეს პარტიათა შორის შუამავლობა და მათ შორის დამოკიდებულობის მოწესრიგება, რათა ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ მეტად ნაყოფიერი შეიქმნეს.

ამასთანავე ბიურომ უნდა იკისროს ქონებრივ, ტეხნიკურ და სხვა საშუალებათა გამოძებნა მებრძოლ პარტიათა გასაძლიერებლად და რევოლუციონურ ბრძოლისათვის თავდადებულთა დასახმარებლად.

რეზოლუცია მოგბილიზაციის შესახებ

კონფერენციაში მონაწილეობის მიმდები პარტიები აღიარებენ, რომ თუ ვინიცობა რუსეთის მთავრობამ გაჰბედა და ახალი მობილიზაცია გამოაცხადა, უნდა მიიღონ ენერგიული ზომები მობილიზაციის წინააღმდეგ: არც ერთი კაცი არ უნდა გავიდეს ომში მთავრობის მტაცებელ პოლიტიკისათვის სისხლის დასაღვრელად.

კონფერენციამ დაადგინა დაჰბეჭდოს ყველა დამსწრე პარტიათა მიერ ხელმოწერილი პროკლამაცია ომის წინააღმდეგ.

რეზოლუცია აღგილობრივად შეთანხმებულ მოქმედების შესახებ

კონფერენცია იმ აზრისაა, რომ რიცა ამას გარემოება მოითხოვს, იმ ადგილებში, სადაც ერთი მეორის გვერდით მოქმედობენ კონფერენციაზე დამსწრე პარტიათა კომიტეტები, უნდა შესდგეს დელეგაციები ან საკავშირო კომიტეტები ადგილობრივ მოქმედ ძალთა კოორდინაციისათვის.

ამასთანავე კონფერენცია სასურველად სცნობს, რომ ამავე მიზნით ამ დელეგატებმა გამართონ მოლაპარაკება იმ პარტიების და ფრაქციების ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც კონფერენციაზე არ არიან წარმოდგენილები.

კონფერენცია აგრეთვე სასურველად სცნობს, რომ შესაფერ დროს გამოდიოდეს ხოლმე პროკლამაციები ყველა პარტიების მიერ ხელმოწერილი.

ეს საჭიროა განსაკუთრებით იმისათვის, რომ სხვა და სხვა ეროვნების მუშები მივაჩვიოთ მათ ინტერესთა სოლიდარობის აზრს და ამრიგად ფრთები შევაკვეცოთ მთავრობის დემაგოგიურ და პროვოკატორულ მოქმედებას.

რეზოლუცია საკავშირო მებრძოლ კომიტეტის შესახებ

კონფერენცია აღიარებს თანამედროვე რევოლუციონურ ხანის უსაჭიროეს მოთხოვნილებად მებრძოლ კომიტეტის შექმნას. ამ კომიტეტის მიზნად უნდა გადაიქცეს რუსეთში მოქმედ სარევოლუციო

პარტიების ძალრეფის შემოკრება და განხორციელება ამ საერთო გეგმისა, რომლის მიზანი იქმნება საერთოდ იერიშის მიტანა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ.

თუ როდის უნდა შეიქმნეს ამგვარი კომიტეტი და რა უფლებები უნდა მიენიჭოს მას, ამის გამორკვევა-გადაწყვეტა კონფერენციას მიუნდვია მომქმედ პარტიათათვის შეთანხმებისათვის.

რეზოლუცია კონფერენციიდან 4 სოციალ-დემოკრატულ ორგანიზაციის გასვლის შესახებ

კონფერენცია მწუხარებას აცხადებს:

1) რომ ოთხმა ს.-დემოკრატულმა ორგანიზაციამ ამჯობინა არ მიეღო მონაწილეობა საერთო მსჯელობაში იმის შესახებ, თუ როგორ საუკეთესოდ უნდა მოეწყოს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ საერთო იერიშის მიტანა. ისინი დარჩენენ კონფერენციაზე ერთის ორგანიზაციის წარმომადგენელის გამო; მათ მიერ ათვალწუნებულ ორგანიზაციის წინააღმდეგ მხოლოდ იმ საბუთის მოტანა შესძლეს, რომ ეს ორგანიზაცია არ არისსაკმარისად მძლავრი და არ აქვს შესაფერი გავლენა რუსეთშიო.

2) რომ თავიანთ მოთხოვნას, რომ კონფერენციას არ მიეცა ნება მიეღო თათბირში მონაწილეობა მათ მიერ ათვალწუნებულ ორგანიზაციას (ლატიშთა სოციალ-დემოკრატულ კავშირს) ხსენებულმა 4 სოციალ-დემოკრატულმა ორგანიზაციამ ულტიმატუმის სახიამისცა. მათი ამგვარი ქცევა სრულიად საფუძველს მოკლებული იყო. ერთად-ერთი საბუთი, რომელიც მოიტანეს თავიანთ ულტიმატუმის სასარგებლოდ ის იყო, რომ არ გვსურს ჩვენის თანხმობით მათთან ერთად ისაკელოდეს დავაკანონოთ ამ ორგანიზაციის არსებობა და მნიშვნელობაო. ამგვარი მათი სურვილი შეეძლოთ გამოეთქვათ სხვა სამუალებითაც და ამრიგად არ შეეფერხებინათ კონფერენციის საქმე. მაგალითად, შეეძლოთ ოქმებში შეეტანათ თავიანთი შეხედულება ამ ორგანიზაციის შესახებ; კონფერენცია მიიღებდა მხედველობაში მათ აზრს და შეიტანდა ოფიციალურ დოკუმენტთა სიაში. ამგვარ საშუალებაზე კიდევაც მიუთითეს მათ ერთის ორგანიზაციის დელეგატებმა.

3) რომ ამასთანავე მათი ამგვარი ულტიმატუმი სრულიად გაუგებარი გახდა კონფერენციისათვის, რადგანაც თავიანთ წერილში, რომლითაც მიმართეს ინიციატორს კონფერენაიის გახსნამდე. აღნიშნულნი იყვნეს ის პირობანი, რომელნიც აუცილებელნი უნდა ყოფილიყვნენ მათის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისათვის. ამ პირობათა სიაში ხრულიადაც არ იყო მოხსენებული რომელიმე ორგანიზაციის კონფერენციაზე არ მოშვება, თუმცა კი კარგად იცოდნენ სია სუყველა მოწვეულ ორგანიზაციათა.

კონფერენციამ კი თავის მხრივ შეუძლებლად დაინახა ნება არ მიეცა ბჭობაში მონაწილეობის მიღებისა იმისთანა ორგანიზაციისათვის, რომელიც მოწვეული იყო ინიციატორის მიერ და რომლის მოწვევის წინააღმდეგ წინდაწინვე არავის პროტესტი არ განუცხადებია; თვით კონფერენციაზედაც მათს წინააღმდეგ ერთი არსებითი საბუთიც არ მოუტანიათ, გარდა ამ ორგანიზაციის ვითომდა სისუსტისა; კონფერენცია, საზოგადოდ შეუძლებლად და უსარგებლოდ სცნობდა მსჯელობას რომელისამე დამსწრე პარტიის ძალ-ღონის შესახებ და ამის მიხედვით მათი მოწვევა კონფერენციაზე; და სწორედ ამიტომაც არ აღუძრავს კითხვა, რომ კონფერენციაში მონაწილეობის ნება არ მიეცეს მისს სისუსტის გამო ერთ ს.-დემოკრატულ ორგანიზაციას.

კონფერენცია თავისს მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ ოთხმა ს.-დემოკრატულმა ორგანიზაციამ მიატოვა კონფერენცია და მით შეაფერა შეთანხმებულად მოქმედება კონფერენციაზე დამსწრე პარტიებთან. და ამ შეთანხმების წინააღმდეგნი, როგორც ეს თითონვე გამოაცხადეს, არც გასული ორგანიზაციები იყვნენ. ამასთანავე კონფერენცია იმედოვნებს, რომ ცარიზმის წინააღმდეგ მომქმედი ყველა პარტიები იძულებულნი იქმნებიან მიემხრონ იმ შეთანხმებას, რომლის საფუძველნი შემუშავებულნი იქმნებიან კონფერენციაზე.

ფინლიანდელთა აქტიურ წინააღმდეგობის გამწევ პარტიის განცხადება

რადგანაც მობილიზაცია ფინლანდიაში არ შეიძლება მოხდეს, დელეგატნი ფ. ა. წ. ბ. აცხადებენ: «ვფიქრობთ-რა, გამოვუშვათ ჩვენ თითონ, თუ ამას გარემოებანი მოითხოვენ, ერთი ან რამდენიმე პროკლამაციები მობილიზაციის წინააღმდეგ, ჩვენ მაინც საზოგადო ინტერესისთვის მზად ვართ ხელი მოვაწერეთ საერთო პროკლამაციას მობილიზაციის წინააღმდეგ, თუ კა ამ პროკლამაციას სახეში ექნება რუსეთის იმპერიის დანარჩენი ნაწილებიც».

განცხადება ბელორუსთა სოციალისტურ გრომადისა და პ. პ. ს. წარმომადგენლებისა რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა ნაწილებში აწ არსებულ წესწყობილების გაუქმების შესახებ

ბელორუსთა სოციალისტურ გრომადის წარმომადგენელი ემხრობა რა სავსემით ზემოდ მოხსენებულს (მუხლები დამფუძნებელ კრებათა შესახებ), ამასთანავე აცხადებს: საჭიროდ სთვლის გამოყოს განსაკუთრებულ პოლიტიკურ ორგანიზმად ისტორიულ ლიტვისა (ლიტვა და ბელორუსია) და იქ მცხოვრებ ეროვნებათა, მაგრამ ამ მოთხოვნას არ უყენებს კონფერენციას, იმიტომ რომ ეს კითხვა უნდა წინადადგადწყვეტილ იქმნეს ამ ტერიტორიაში მომქმედ სხვა და სხვა ეროვნებათა სოციალისტურ პარტიათა შეთანხმებით.

პ. პ. ს. დელეგატნი, როგორც წარმომადგენელნი ლიტვაში მყოფ პოლონელ და ნაწილად ებრაელ პროლეტარიატისა, ემხრობიან ბელორუსთა სოციალისტურ გრომადის წარმომადგენლის ამ განცხადებას.

ფინლანდიელ აქტიურ წინააღმდ. გამწევ პარტიის განცხადება კონფერენციის მეორე (სოციალური) დეკლარაციის

ვიღებთ რა მხედველობაში ფინლანდიის და რუსეთის იმპერიის დანარჩენ ნაწილთა სოციალურ ბრძოლათა არსებით განსხვავებას და ამასთანავე იმასაც, რომ ჩვენს პარტიას აქამდისინ არ შეუმუშავნია სოციალური ან სოციალისტური პროგრამა, ჩვენ ვერ შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა ამ დეკლარაციის შესახებ სჯა-ბაასში.

ფინლანდიელი პარტია აქტიურ წინააღმდეგობისა, არ არის სოციალისტური პარტია... ის არის გან-

საკუთრებით სარევოლუციო მებრძოლი პარტია, ფაქტიურად კი არა მარტო მისნი დამაარსებელნი, ბევრი სხვებიც, ისეთებიც კი, რომლებიც არ ირიცხებიან მუშათა პარტიაში, სოციალისტები არიან. მეორეს მხრივ დიდი უმეტესობა პარტიისა თუმცა სოციალისტებისაგან არ შესდგება, მაგრამ დიდად თანაუგრძნობს სოციალიზმს; პარტიის პროგრამაში აღგრძალულია სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის საწინააღმდეგო ბრძოლურების გავრცელება. საზოგადოდ პარტია უკრძალავს ამ ორ მოძრაობის საწინააღმდეგო მოქმედებას. ფ. ა. ნ. ბ. დელეგატნი საჭიროდ სცნობენ ყოველგვარ უსიამოვნების ასაცილებლად, აცნობონ ეს კონფერენციას.

რევოლუციის აზრი და მიმართულება

ჩვენმა ხალხმა რევოლუციის დიდებული დრო-ა აფრიალა და სოციალურ განახლების და ცხოვრების ყოველგვარ წესწყობილების შეცვლის გზას მედგრად შეუდგა. სოფლებში პოლიციელთა ძალმოძრეობის ბუდეებს ალი ავარდა და რუსეთის თვითმპყრობელობას და ერთა მჩაგვრელთა სახელმწიფოს ხალხმა ომი გამოუცხადა. სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეების მიწებს ხალხმა ხელი შეახო და მით ომი გამოუცხადა დამჩაგვრელ სოციალურ უთანასწორობას. ეარჰყო თვითმპყრობელის სამსჯავრო და ადმინისტრაცია, რომ საზოგადოებრივი და პირადი ადამიანის უფლება აღედგინა. დაწყებულმა რევოლუციამ წამოაყენა დიდებული კითხვა სოციალურ განახლებისა და ჩვენმა თაობამ უნდა გადასწყვიტოს იგი იარადით ხელში და თავგანწირულ ბრძოლით თავისუფლების და ერთობის მოსაპოვებლად. დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველი ნამდვილი სოციალისტი ხმას განცემს ხალხის მოწოდებას და უყოყმანოდ დასდგება სოციალურ რევოლუციის წმიდა დროშის ქვეშ, რომ მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს სახალხო საქმის გამარჯვებას, რომელიც იქმნება ადამიანის და დამამშვრალ კაცობრიობის გამარჯვება.

დიდებული ისტორიული ხანა დაგვიდგა! მაშ ვეცადოთ პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა, შეგიარაღდეთ და მოვემზადოთ გაბედულ და გმირულ ბრძოლისათვის. რევოლუცია მებრძოლთ ეძახის, რევოლუციისათვის საჭიროა ყველა ძალების შეკრება. მაშ შეგიარაღდეთ და შეგერთდეთ ვისაც მკერდში გვიცემს მამაცი გული!

მაგრამ გავფრთხილდეთ, რომ ორგანიზაციის დროს თავიდან ავიცდინოთ ის რევოლუციონური ბიუროკრატიზმი, რომელიც სათავემივე ანრჩობს ყოველ კერძო ინიციატივას, ყოველ მოქმედებას და მოძრაობას. ყოველ წამს გვახსოვდეს არ ვუმტყუნოთ თანაბაწორობის, დამოუკიდებლობის, ავტონომიის და ფედერაციის პრინციპებს. გვახსოვდეს, რომ ცხოვრება ითხოულ კანონების დაგვარად კი არ ეწყობა, არამედ შეთვისებულ ჩვეულებებისა და ყოველდღიურ ცხოვრების დაგვარად. თუ რევოლუციის ხანაში არ ივითარდა კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივა, რევოლუციის შემდეგ მათი გამოწვევა ძლიერ ძნელი გასაბერებელი იქმნება; ვაი იმ საზოგადოებას და ხალხს, რომლის კერძო ინიციატივა, თავისებურობა, მოქალაქეთა პირადი გამბედაობა შეზღუდული და ბოლოდულია ცენტრალურ კომიტეტების, და ცენტრალურ გამგეობების ნებებით და დადგენილებით.

ვეცადოთ ერთგულად ვემსახუროთ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის პრინციპებს, ამისთვის საჭიროა: 1. რომ ყოველმა საზოგადოებამ, დაბამ და ყოველმა ქალაქმა თითონ შეჰქმნას და მოაწყოს საკუთარი მებრძოლი რაზმები და საკუთარივე დამოუკიდებელი სარევოლუციო კომიტეტები. 2. ამნაირმა ავტონომიურმა სარევოლუციო კომიტეტებმა და საბჭოებმა თვით უნდა განაგონ ყოველდღიური ადგილობრივი საზოგადო საქმეები და რევოლუციონურ რაზმების მოქმედებანი. შემდეგში დავინახავთ, როგორ უნდა შეთანხმდეს ამ ნაირ ავტონომიურ კომიტეტების ძალღონე, ეხლა კი საჭიროა განვმარტოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოდ მოხსენებულ პრინციპების გატარებას ცხოვრებაში. დიდი მნიშვნელობა აქვსთ მათ არამც თუ მარტო მომავალ თავისუფალ ცხოვრების წესწყობილებისათვის, არამედ უკით რევოლუციის გამარჯვებისათვისაც.

ის რევოლუციები კი არ გამომდგარან ნაყოფიერნი, რომელნიც მომხდარან დიდს ცენტრებში და ქალაქებში, არამედ ისინი, რომელნიც მოედვნენ მთელ მხარეს თვით ყრუ ადგილებშიც კი, და ყველგან ერთ დროს მთლად მცხოვრებთა მონაწილეობით იყვნენ განხორციელებულნი ადგილობრივ ავტონომიურ სარევოლუციო კომიტეტთა მიერ. მაგალითად, 1848 წლის რევოლუციამ მიუხედავად იმისა, რომ მთელი ევროპა გატაცებული იყო ხალხთა მორის თანასწორობისა, სოლიდარობის და ძმობის დიდებულ იდეალებით, მაინც ერთი ბეწვაზედაც ვერ შესცვალა საზოგადოებრივი წესწყობილება საფრანგეთისა და გერმანიის. ეს იმიტომ, რომ მთავარ ქალაქების გარეშე რევოლუციონური ინიციატივა დადუმებული იყო და ადგილობრივი კომიტეტები ან სულ არ არსებობდნენ, ან თუ არსებობდნენ გულხელდაკრეფილნი უცდიდნენ დიდ ქალაქებიდან ბრძანებას. სულ სხვა იყო ნიდერლანდიის, ინგლისის, შეერთებულ შტატების და საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციები.

ამ უკანასკნელს იმიტომ უწოდებენ დიდ რევოლუციის სახელს, რომ მან დაანგრია ძველი წესწყობილება და სამუდამოდ მოსპო ბოროტმოქმედებანი და მაღალ კლასების ძალმომრეობა. რაც მოხდა მხოლოდ ადგილობრივ კომიტეტების მოქმედებით. ლიონმა, მარსელმა, გრენობლმა და ბორდომ პარიზსაც გაუსწრეს. აქ გლეხებმა და პატარა დაბების მოქალაქეებმა პარიზის დაუკითხავად შეადგინეს საკუთარი რევოლუციონური კომიტეტები და თავიანთი თავი «თვითმმართველ ხალხად» გამოაცხადეს. თვით პარიზიც კი გაბურებულ რევოლუციის დროს იმიტომ იყო მძლავრი და დიდებული, რომ მისი ოცი სარევოლუციო კომიტეტი სხვა და სხვა უბნებისა დღე და ღამ მაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ შეეკრიბათ თავიანთ უბნების საბრძოლველი ძალა და როგორ მოეწყოთ საკუთარი (უბნების) საქმენი. მოსპო თუ არა ახლად შემდგარმა მთავრობამ ამ ადგილობრივ კომიტეტების ინიციატივა და ენერგია, მაშინვე დაიწყო რეაქცია და კონტრ-რევოლუციამაც თავი წამოჰყო, და როდესაც რესპუბლიკანურმა მმართველობამ, რომელმაც გააუქმა უბნების კომიტეტები, მიიწვია პარიზი რეაქციის წინააღმდეგ, აღმოჩნდა, რომ ბრძოლის დაწყება აღარავის შეეძლო, რადგანაც აღარ იყვნენ გულადი და თავგანწირული კომიტეტები და აღარც მათი წინამძღოლნი, ხშირად უსწავლნი რევოლუციის გმირები. იმ დროის წინამძღოლებს ვეღარ შეეგნოთ,

რომ დიდი რევოლუცია მოახდინეს სწორედ ამ ავტონომიურ ადგილობრივ აჯანყებულ ხალხის კომიტეტებმა, მაგრამ ისტორია ჯერ კიდევ გვინახავს დამსწრე ხალხის მოწმობას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ამ კომიტეტებს. ისტორიკოს მლიქარის კითხვაზე « რითი აიხსნება ის ხიმძლავრე და გავლენა, რომელიც ჰქონდათ იაკობინაელების კლუბს, დანტონს, მარატს და რობესპიერისა ? » — ამაყმა გრეგუარმა, რომელიც რევოლუციაში დიდ მონაწილეობას იღებდა, შემდეგი უპასუხა :

— მაშინ საფრანგეთში არ იყო უბრალო სოფელიც კი, სადაც თავიანთი კომიტეტები არა ჰქონოდათ, და თავიანთი დანტონები, რობესპიერები და მარატები არა ჰყოლოდათ.

და სწორედ ამგვარმა ადგილობრივმა მამაც და გულად ხალხისგან შემდგარი კომიტეტები უნდა ბელადად გაუძღვნენ ჩვენს რევოლუციასაც. და მხოლოდ გულად რევოლუციონურ ინიციატივაზე უნდა აშენდეს და ადიზარდოს ჩვენი დიდი გამაახლებელი სახალხო რევოლუცია. ჩვენი ხალხი ამასუკვე მეუდგა.

გლეხების მოთხოვნილებანი, როიელნიც ასე მარტივად არიან გამოთქმულნი დაუყოვნებლივ, უნდა დააკმაყოფილოს დაწყებულმა რევოლუციამ და ჩვენ შევხძლებთ ამას, თუ მოვახერხებთ სოფლების და ქალაქების კომიტეტთა ძალების შეერთებას, რაც დიდს ხიმნელს არ წარმოადგენს. ამისთვის საჭიროა სოფლების რევოლუციონურ კომიტეტების დელეგატებისაგან შესდგეს « საკავშირო კომიტეტები » (Союзные Комитеты). ეს კომიტეტები ეხლავე უნდა შესდგეს, ყველა სამაზრო ქალაქებსა, დაბებსა და დიდ სოფლებში. ეს კომიტეტები ადგილობრივ რევოლუციონურ ჯგუფებიდან შემდგარნი თვით გამოხეებნიან თუ რა საშუალებით და რა ფორმით ემჯობინება რევოლუციონურ ძალთა შეკავშირება, რომ ადგილობიური ინიციატივა სხვა და სხვა კომიტეტების თვითმმართველობისა არ დაიჩაგროს.

ეს კავშირები სარევოლუციო ბრძოლისათვის შეერთებულ ავტონომიურ კომიტეტებს გააერთიანებენ აჯანყებულ ხალხის სარევოლუციო უოქმედებას, გახდებიან ხალხის მიერ აღიარებულ მოძავალ პოლიტიკურ წესწყობილების საფუძვლად.

ჩვენ ყველამ ვიცით, რა მოთხოვნილებანი წარუდგინა ხალხმა მთავრობას, მემამულეებს, სამღვდელოებას, პატრონებს და ვაჭრებს. ამ მოთხოვნილებათა განხორციელება, ცხოვრებაში მათი გატარება შეადგენს რევოლუციის უმთავრეს მიზანს, და გახდება სარევოლუციო კომიტეტთა და თვითმმპყრობელ ხალხის კავშირთა მოქმედების მთავარ საგნად.

დიახ, ჩვენი მომავალ სარევოლუციო მთავრობის raison d'être'ად უნდა გახდეს ამ მოთხოვნილებათა მხედველობაში მიღება და მათი დაკანონება. ჩვენი ხალხი ამდგარა ეგზონომიურ, სოციალურ და უფლებრივ თანასწორობის განსახორციელებლად ; ამ მიზნით ემზადებიან რევოლუციისათვის, და რათა ნაყოფიერი გახდეს იგი რევოლუცია უნდა შეკავშირდნენ ფედერატულად სათემო საბჭოები და სარევოლუციო კომიტეტნი. ამ ორგანიზაციათა დელეგატნი შეადგენენ მომავალ სარევოლუციო დროებითს მთავრობას.

და როცა ჩვენი რევოლუცია ძირიდან მოემზადებული და შედგენილი, თემთა და ქალაქთა ავტონომიაზე დამყარებული, მოუდებს ბოლოს თანამედროვე დესპოტურ წესწყობილებას, მაშინ დროებითი სარევოლუციო მთავრობა მოიწვევს დამფუძნებელ კრებას, რომლის წარმომადგენლები იქმნებიან არჩეულნი საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებათა საშუალებით.

დამფუძნებელი კრება კი შეიმუშავებს განახლებულ და ფედერატულად მეკავშირებულ საქართველოს კონსტიტუციას.

ამასთანავე ჩვენს წინამე სდგას მეორე კითხვაც. ჩვენ, როგორც სოციალისტნი, ინტერნაციონალისტები ვართ ; მოსურნე ვართ სხვა და სხვა ეროვნებათა პროლეტარიატის ძალთა შეკავშირებისა, ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებისა.

ხოლო თანამდროვე კავკასიის ერთა მდგომარეობას თუ მივიღებთ მხედველობაში, უნდა გადვიაროთ, რომ ფედერაცია კავკასიის სუყველა ერთა და დანარჩენ რუსეთთან ავტონომიურად მათი შეკავშირება, უნდა გახდეს ყველა ნამდვილ სოციალისტურ პარტიათა სამოქმედო საგნად.

სწორედ ამიტომ ვიწვევთ ჩვენს მეზობელ ერებს და განსაკუთრებით მათში მოქმედ სოციალისტურ პარტიებს მეიმუშავონ სარევოლუციო მოქმედებისა და მომავალ სოციალურ-პოლიტიკურ წესწყობილების ამგვარივე გეგმა, და მათზედ დაამყარონ თავიანთი სარევოლუციო მოქმედება. შედეგი ამგვარ მოქმედებისა ის იქმნება, რომ რევოლუციონური მოძრაობა კავკასიაში ; გაერთიანებული ერთგვარ მიზნით მეტს ძლიერებას და სიმხნეევს გამოიჩენს, დაახლოვებს განთავისუფლების და კავკასიის ფედერატულ დამფუძნებელ კრების მოწვევის დღეს.

« საქართველოს » რედაქციაში იშოვება :

სრული კოლექცია „ საქართველოსი ” პირველის წლისა (1903 — 1904) და მეორე წლისა (1904 — 1905).

ბროკლამაციები :

1. ქართველ სტუდენტებისადმი.
2. ქართველ მუშებს (პირველმაისობა).
3. ქართველ როსწავლე ახალგაზდობას.
4. ყველა მუშებს.
5. კავკასიის ხალხთა მიმართ.

„ საქართველოს ” დამატებანი :

1. ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციის რეზოლუციები.
2. რუსეთის სახელმწიფოის საოპოზიციო და სარევოლუციო ორგანიზაციათა კონფერენცია.

წიგნაკები :

1. „ აი კრიტიკა ” (პასუხი „ ქართვ. ნაციონ. ” ავტორს.
2. „ ქართველ გლეხს ”.
3. ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციის ოქმები — ფასი : 2 ფრ. — 80 კაპეიკი.
4. რაგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში მიწის სოციალიზაციის საქმე. — ფასი : 50 სანტ. — 20 კაპეიკი.

გაზ. „ საქართველოს ” სტამბა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.